საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.07.2018

საჩივრის რეგისტრაციის № 096/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ფ.-ის მიმართ, /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ფ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 03 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ფ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 21 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა

წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. 2019 წლის 28 იანვარს და 24 აპრილს საჩივრის ავტორმა განხილვის კოლეგიის სხდომებზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 მ. მ.-ს განმარტებით, მისი საჩივარი არ ეხება ადვოკატის მიერ გაწეულ იურიდიულ მომსახურებას, არამედ ეხება მისი კუთვნილი ავტომანქანის თაობაზე ადვოკატ გ. ფ.-სთან დავას.

1.3 მ. მ.-მ 2014 წელს საერთო ახლობლის მეშვეობით, იურიდიული დახმარებისთვის მიმართა ადვოკატ გ. ფ.-ს, რომელიც შეთანხმების შესაბამისად, წარმოადგენდა მის ინტერესებს სამეზობლო დავასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოში.

1.4 სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, მოსამართლის გადაწყვეტილებით, უნდა მომხდარიყო სადავო ადგილის დათვალირება. 2014 წელს ადგილზე დათვალირებისას, მომჩივანმა მხარემ მოსამართლეს მოსთხოვა, რომ საერთო სარგებლობის ეზოდან მ. მ.-ს გაეყვანა მისი კუთვნილი მანქანა, რაზეც თანხმობა განაცხადა მ. მ.-მ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გ. ფ.-მ შესთავაზა ზემოაღნიშნული მანქანის ეზოდან გაყვანა და მის შეკეთებაში დახმარება, რადგან მის ძმას ჰქონდა ავტოსახელოსნო. ადვოკატის აღნიშნულ შეთავაზებას საჩივრის ავტორი დათანხმდა, რის შემდგომაც, 2014 წლის აგვისტოს თვეში გ. ფ.-მ და მისმა ძმამ - გი. ფ.-მ მანქანა გადაიყვანეს ავტოსახელოსნოში, საჩივრის ავტორმა ადვოკატ გ. ფ.-ს გადასცა ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და 100 ლარი ავტომანქანის ძრავის ზეთის შეცვლის მიზნით. საჩივრის ავტორმა რამდენიმე დღის შემდგომ მოიკითხა თავისი მანქანის მდგომარეობა, თუმცა ადვოკატმა გ. ფ.-მ განუცხადა, რომ მის ძმას ბევრი საქმე ჰქონდა და თავად დაუკავშირდებოდნენ.

1.5 მ. მ. კვლავ დაუკავშირდა ადვოკატ გ. ფ.-ს და მოსთხოვა მანქანის დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა გ. ფ.-მ გამოთქვა სურვილი შეეძინა აღნიშნული ავტომანქანა. მ. მ.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ მანქანას მიყიდდა 3500 დოლარად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მანქანა უნდა დაებრუნებინა, რადგან ჰყავდა მყიდველი, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ ერთი კვირა ედროვებინა მისთვის.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი გ. ფ. დათქმულ დროში არ დაკავშირებია, რის შემდგომაც, მოიძია ადვოკატის ძმის ავტოსახელოსნო, რომლის მიმდებარე ტერიოტორიაზე იპოვა თავისი ავტომანქანა, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად იყო მნიშნელოვნად დაზიანებული, „დამტვრეული“. მ. მ. ესაუბრა ადვოკატის ძმას, რომელსაც განუცხადა, რომ ის დაზიანებულ მანქანას ვერ დაიბრუნებდა და მოითხოვა მანქანის სანაცვლოდ თანხის გადახდა - 3000 დოლარის ოდენობით. გარკვეული დროის გასვლის მიუხედავად, არც ადვოკატი და არც მისი ძმა საჩივრის ავტორს არ შეხმიანებიან.

1.7 ამ დროის განმავლობაში ადვოკატის ძმა გი. ფ. სარგებლობდა ავტომანქანით და ამავე დროს, მასთან, როგორც მანქანის მესაკუთრესთან იგზავნებოდა შპს „სი-ტი პარკის“ საჯარიმო ქვითრები. მ. მ.-ს განმარტებით, ის ვერ დაადასტურებს, მაგრამ როგორც მისთვის ცნობილია, ადვოკატის გადაადგილდებოდა მისი მანქანით.

1.8 მ. მ.-ს ადვოკატი გ. ფ. დაჰპირდა, რომ 2016 წლის დეკემბრამდე გადაუხდიდა 3000 დოლარს. ადვოკატმა გ. ფ.-მ 2016 წლის აგვისტოს თვეში გადასცა 600 დოლარი და უთხრა, რომ დანარჩენსაც მალე გადაუხდიდა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან 2016 წლის დეკემბრის თვეში გააფრთხილა ადვოკატი გ. ფ., რომ გადაეხადა „სი-ტი პარკის“ მიერ დაკისრებული ჯარიმები, მანქანაზე სახელმწიფო ნომრით X თუმცა საბოლოოდ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ საჩივრის ავტორს კუთვნილი ანგარიშიდან ჩამოაჭრა 200 დოლარი. ადვოკატმა გ. ფ.-მ მ. მ.-ს 2016 წლის დეკემბრის ბოლოს გადასცა 1000 დოლარი და მოსთხოვა წერილობით დაედასტურებინა 2000 დოლარის მისთვის გადაცემა, რის თაობაზეც საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა, ამის შემდგომ, კი ადვოკატმა გადაცემული 1000 დოლარი საჩივრის ავტორს გამოართვა და უთხრა, რომ 600 დოლარიც არ უნდა გადაეცა მისთვის.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა გ. ფ.-მ მას უთხრა, რომ მის საერთო ახლობელს კახა ძნელაძეს გადასცა ავტომანქანის თანხის ნაწილი - 1000 დოლარი მისთვის გადასაცემად, რაზეც მ. მ.-მ უპასუხა, რომ ამის თაობაზე არ ჰქონდა ინფორმაცია და აღნიშნული თანხა მას პირადად არ მიუღია.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ გ. ფ.-ს მათი საერთო ახლობელი უკავშირდებოდა, თუმცა უშედეგოდ, რადგან ადვოკატმა მოთხოვნის მიუხედავად არ გადაუხადა თანხა. მ. მ.-ს განაცხადებით, მისი კუთვნილი ავტომანქანა დღემდე ადვოკატის მფლობელობაშია, თუმცა იმდენად დაზიანებულია და ამავდროულად, დიდი ხანი გავიდა, რაც ავტომანქანა ადვოკატის ძმამ წაიყვანა, რომ მისი დაბრუნება ნამდვილად არ სურს და თანხის გადახდას ითხოვს.

1.12 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის არ ეთანხმება ადვოკატის პოიზიციას იმის თაობაზე, რომ დაზიანებული მანქანა მისმა ახლობლებმა წამოიყვანეს ავტოსახელოსნოდან, შემდგომ, კი ადვოკატმა კვლავ წაიყვანა ის. მ. მ. განმარტავს, რომ ის თანაბრად აკისრებს პასუხისმგებლობას ზემოაღნიშნულ საკითხზე გი. და გ. ფ.-ებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატმა გ. ფ.-მ 2018 წლის 10 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 05 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, მ. მ.-ს შეეძლო მის წინააღმდეგ მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის ან სასამართლოსთვის, თუმცა მას არ აქვს ამის შესაბამისი საფუძველი და ამიტომ მიმართა ადვოკატთა ასოციაციას, რადგან ცდილობს შელახოს, მისი როგორც ადვოკატის რეპუტაცია. ადვოკატის განცხადებით, აღსანიშნავია, რომ მ. მ. კმაყოფილი იყო მისი იურიდიული მომსახურებით და ამის თაობაზე მას პრეტენზია არ აქვს.

2.2. ადვოკატის განმარტებით, მ. მ.-ს ჰქონდა ყველა მეზობლებთან დავა საერთო სარგებლობის ფართებთან დაკავშირებით, მათ შორის საერთო ეზოში მისი კუთვნილი მანქანის გაჩერების თაობაზე, რომელიც 4-5 წლის მანძილზე იყო გაჩერებული ეზოს ტერიტორიაზე. აღნიშნული ავტომანქანა იყო დაზიანებული და შესაბამისად, მისი ადგილიდან გაყვანა ვერ ხერხდებოდა. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა საერთო ეზოს ადგილზე დათვალირება მოეხდინა. მოსამართლის თანდასწრებით, ადგილზე ყოფნისას, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ადვოკატმა გ. ფ.-მ შესთავაზა მ. მ.-ს, რომ მისი ძმის მეშვეობით, რომელსაც ჰქონდა ავტოსახელოსნო, გაიყვანდა მანქანას ეზოდან და როცა დრო ექნებოდა შეაკეთებდა, რაზეც საჩივრის ავტორმა თანხმობა განაცხადა.

2.3. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა თავად შესთავაზა 100 ლარის მისთვის გადაცემა ძრავის ზეთის გამოცვლის მიზნით. ადვოკატ გ. ფ.-ის ძმის დახმარებით მ. მ.-ს კუთვნილი ავტომანქანა გადაიყვანეს ავტოსახელოსთან, სადგომზე. ადვოკატის განცხადებით, მ. მ.-მ იცოდა, რომ მის ძმას როდესაც ექნებოდა დრო - მანქანას შეაკეთებდა. ადვოკატმა გ. ფ.-მ აცნობა მ. მ.-ს, თუ სად მდებარეობდა ავტოსახელოსნო.

2.4. ადვოკატის განმარტებით, მ. მ.-ს მისთვის არასდროს უკითხავს ავტომანქანის მდგომარეობის თაობაზე, რადგან ამ საკითხზე ისინი კონკრეტულად არ შეთანხმებულან, მათ შორის არც მის ძმასთან, „მ. მ.-მ იცოდა, რომ ავტომობილი ეყენა სადგომზე და პრობლემა არ იყო“.

2.5. ადვოკატის განმარტებით, მ. მ.-სთან უთანხმოება მას შემდგომ დაიწყო, რაც სადგომზე მდგომ ავტომობილს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიადგა მცირე გარეგანი დაზიანება და არ იყო „დალეწილი“, როგორც ამას თავად უთითებს მ. მ.. ადვოკატის განცხადებით, მან აუხსნა საჩივრის ავტორს, რომ მანქანის შეკეთების პრობლემა არ იყო, თუმცა შეკეთებული მანქანის დაბრუნებაზე მ. მ.-მ მკაცრი უარი განაცხადა და ადვოკატს უთხრა, რომ მას მანქანას მიჰყიდდა 3500 აშშ დოლარად. ადვოკატ გ. ფ.-ის განმარტებით, მას არ ჰქონდა სურვილი შეეძინა საჩივრის ავტორის მანქანა, რადგან მას ჰყავდა თავისი პირადი ავტომანქანა და მას „არაფერში სჭირდებოდა გაფუჭებული ავტომობილი“, ამასთან მანქანის ღირებულება გაცილებით ნაკლებს შეადგენდა, თუმცა მისი მდგომარეობა მოითხოვდა მის მოძრაობაში ყოფნას და ამ მიზნით, გადაადგილდებოდა ამ მანქანით, რის თაობაზეც მ. მ.-სგან მას წინასწარი თანხმობა არ მიუღია.

2.6. 2016 წლის მაისის თვეში მ. მ.-სთან შედგა მოლაპარაკება , იმის თაობაზე, რომ ადვოკატი გ. ფ. მ. მ.-ს კუთვნილ მანქანას შეიძენდა 3000 აშშ დოლარად - 1000 აშშ დოლარი 2 ნაწილად ივნისი - ივლისის თვეში უნდა გადაეხადა, 2000 აშშ დოლარი 2017 წლის 01 ივნისამდე. ადვოკატს დაუკავშირდა საჩივრის ავტორის ახლობელი და უთხრა, რომ მ. მ. ქალაქში არ იმყოფებოდა და მისთვის გადაეცა თანხა, რის შემდგომაც ადვოკატმა გ. ფ.-მ მას გადასცა 400 აშშ დოლარი, ივლისის ბოლოს პირადად მ. მ.-ს გადასცა 600 აშშ დოლარი.

2.7. ადვოკატ გ. ფ.-ის განმარტებით, 2016 წლის 31 დეკემბერს შეხვდა მ. მ.-ს დარჩენილი თანხის გადახდის თაობაზე, ამასთან, ადვოკატმა წარუდგინა მას წერილობითი შეთანხმება, სადაც აღნიშნული იყო, რომ 2016 წლის ივნისი-ივლისის თვეში გადახდილი ჰქონდა 1000 აშშ დოლარი, იმავე დღეს - 2016 წლის 31 დეკემბერს გადასცემდა 1000 აშშ დოლარს, დარჩენილ 1000 აშშ დოლარს დაფარავდა 2017 წლის 31 იანვრამდე, რის შემდგომაც, მ. მ. გადააფორმებდა გ. ფ.-ის სახელზე ავტომანქანას. აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერაზე მ. მ.-მ უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ მან მხოლოდ 600 აშშ დოლარი მიიღო, ხოლო მისი ახლობლის მიერ მიღებულ 400 აშშ დოლარის თაობაზე მას ინფორმაცია არ ჰქონდა და ადვოკატს სთხოვა დაეტოვებინა მისთვის 1000 აშშ დოლარი. ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან თანხის მიღებას მ. მ. წერილობით არ ადასტურებდა, ის დამატებით თანხას მას ვეღარ გადასცემდა.

2.8. ადვოკატის განცხადებით, 2017 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით ის უკავშირდებოდა მ. მ.-ს და სთავაზობდა, რომ გადაუხდიდა დარჩენილ 2000 აშშ დოლარს, რაზეც მან უარი განაცხადა და მოითხოვა 2900 აშშ დოლარის გადახდა. 2017 წლის აპრილის თვეში ადვოკატმა მ. მ.-ს განუცხადა, რომ საერთოდ აღარ აპირებდა მისთვის რაიმე თანხის გადაცემას, ვინაიდან იგი ეუბნებოდა, რომ მის წინააღმდეგ შესაბამის ორგანოში საჩივარს წარადგენდა.

2.9. ადვოკატის განცხადებით, მ. მ.-ს კვლავ შეხვდა საერთო ნაცნობის მეშვეობით 2017 წლის აგვისტოს თვეში, იმ პირობით, რომ მას უნდა ეღიარებინა 400 აშშ დოლარის მიღების ფაქტი, ამასთან, ადვოკატი აპირებდა მისთვის გადაეცა 1000 აშშ დოლარი, დარჩენილ ნაწილს - 1000 აშშ დოლარს გადასცემდა მოგვიანებით - ნოემბრის შუა რიცხვებამდე, თუმცა აღნიშნულ შეთავაზებას მ. მ. არ დათანხმდა.

2.10. ადვოკატის განცხადებით, ამჟამად, მ. მ.-ს ავტომანქანა მასთან იმყოფება. ადვოკატ გ. ფ.-ის განმარტებით, ის ადასტურებს, რომ მანქანის, გამოშვების მარკა - ალფა რომეო, მის მფლობელობაში ყოფნის დროს „სი-ტი პარკის“ მიერ გამოიწერა საჯარიმო ქვითრები და ერთ-ერთი ჯარიმა გადახდილი აქვს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წლის 12 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. ფ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ განხილვის კოლეგიის მიერ საქმის გამოკვლევის ეტაპზე იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი გ. ფ. საჩივრის ავტორის ნების გარეშე, მის კუთვნილ ავტომანქანას ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა შესაძლოა, დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ-ის) 8.13.

3.1. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ქონების ცალკე შენახვის ვალდებულება ვერ იქნება შესრულებული, როდესაც ადვოკატი ან მისი ახლო ნათესავი ამ ქონებით გადაადგილდება პირადი საჭიროებისთვის კლიენტისგან თანხმობის მიღების გარეშე. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ადვოკატმა დაარღვია მინდობილი ქონების ცალკე შენახვის ვალდებულება.

3.2. კოლეგია განმარტა, რომ ადვოკატს ბუნებრივად აქვს კლიენტის მხრიდან მაღალი ნდობა. ადვოკატისადმი ნდობა შეიძლება განაპირობებდეს, როგორც საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ კლიენტის გადაწყვეტილებების მიღებას კლიენტის მხრიდან, ასევე საადვოკატო მომსახურების გარეთაც ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ასეთი სპეციფიკური ნდობით არსებობის გარეშე, არ იქნებოდა მიღებული კლიენტის მხრიდან. ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს, ადვოკატისათვის ქონების მინდობა, რომელსაც უცხო პირს, შესაბამისი სახელშეკრულებო დაცვის გარეშე კლიენტი არ მიანდობდა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. ფ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების მიხედვით ირკვევა, რომ ადვოკატი გ. ფ. მ. მ.-ს უწევდა საადვოკატო მომსახურებას სამეზობლო დავასთან დაკავშირებით (იხ. განმარტება, პარაგრაფი 4.2). კლიენტმა ადვოკატს მიანდო მისი ქონება - ავტომანქანა ალფა რომეო სახ, ნომრით X. უშუალოდ მანქანა არ იყო დავის საგანი, თუმცა აღნიშნული მანქანის გაყვანა ეზოდან ადვოკატის აზრით სასარგებლო იქნებოდა კლიენტის პოზიციისთვის, კერძოდ „სიტუაციის განმუხტვისთვის" (იხ. ადვოკატის განმარტება, პარაგრაფი 4.2). მხარეები ადასტურებენ, რომ (იხ. ადვოკატის განმარტება, პარაგრაფი 4.5 და განმცხადებლის განმარტება, პარაგრაფი 1.5) ადვოკატის ძმა მართავდა მანქანას, თუმცა ეს მართვა განპირობებული იყო იმ მიზნით, რომ მანქანა ექსპლოატაციაში ვარგის მდგომარეობაში ყოფილიყო შენარჩუნებული. მანქანის გადაადგილება ქალაქ თბილისის ფარგლებში დასტურდება „სი-ტი პარკის" საჯარიმო ქვითრებით (ჯარიმის თახის გადაუხდელობის შედეგად დაკისრებული საურავის გადახდის თაობაზე 2016 წლის 11 იანვრის აღსრულების ეროვნული ბიუროს შეტყობინება (ს.ფ. 35-46). ასევე, მხარეები ადასტურებენ, რომ მანქანა დაზიანდა.

5.2 საჩივრის ავტორმა 2019 წლის 28 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მას მანქანის დაზიანების თაობაზე პრეტენზია აქვს როგორც ადვოკატ გ. ფ.-ის, აგრეთვე, მისი ძმის მიმართ. საჩივრის ავტორმა 2019 წლის 24 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მანქანა დაზიანებულია და ამავე დროს, დიდი ხანია გასული, რაც მისით სხვა სარგებლობს, მას არ აქვს სურვილი ავტომანქანის დაბრუნების თაობაზე მორიგება აწარმოოს მეორე მხარესთან.

5.3 კოლეგია აღნიშნავს, რომ 2019 წლის 28 იანვარს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე მხარეებმა გამოხატეს სურვილი მათ შორის სადავო საკითხზე მორიგებულიყვნენ, კერძოდ, ადვოკატმა აღნიშნა, რომ შეთანხმების შესაბამისად, 2019 წლის აპრილის თვის ჩათვლით შეძლებდა საჩივრის ავტორისთვის თანხის გადახდას. ეთიკის კომისიამ მხარეთა შორის მორიგების შესაძლებლობის გათვალისწინებით, დისციპლინური საქმის განხილვა შეაჩერა 2019 წლის აპრილის თვის ჩათვლით და შემდგომ, ამავე წლის 17 მაისის ჩათვლით, თუმცა მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

5.4 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია სცდება აპეკ-ის 8.13-ით რეგულირებულ საკითხს, რაც ეხება ადვოკატისადმი კლიენტის მიერ მინდობილი ქონების დაბრუნების ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია არ ეხება საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე, კლიენტის კუთვნილი ნივთის ადვოკატის მიერ განკარგვის საკითხს და აქედან გამომდინარე, პროფესიულ პასუხისმგებლობას, არამედ საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება ადვოკატისადმი თანხის დაკისრების საკითხს, ადვოკატის ძმის მიმართ პრეტენზიებს, მათ შორის არსებული სადავო საგნიდან გამომდინარე, მით უფრო, რომ ადვოკატს მ. მ.-სთვის გადახდილი აქვს გარკვეული ოდენობის თანხა და მხარეები დავობენ დარჩენილი ნაწილის გადახდის თაობაზე. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რისი შეფასებაც სცდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის 8.13-ის შემადგენლობას. ამასთან, კომისია ვერ შეაფასებს არაადვოკატის - გი. ფ.-ის ქმედებას.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, დაზიანების ხარისხის შეფასება, მანქანის დაზიანების შემდეგ, მხარეებს შორის მიღწეული ნასყიდობის ხელშკრულების დადება და მისი შესრულების შეფასება სცდება კოლეგიის კომპეტენციას, რადგან აღნიშნული არ არის დარეგულირებული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებით. აგრეთვე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საჩივრის ავტორს გ. ფ.-ის, როგორც ადვოკატის მიმართ და მის მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურების ხარისხზე პრეტენზია არ აქვს, შესაბამისად, საჩივრის ავტორის ინტერესი არის არა ადვოკატის დისციპლინირება გაწეული საადვოკატო მომსახურებიდან გამომდინარე, არამედ, მასსა და ადვოკატს შორის სამოქალაქოსამართლებრივი დავის გადაწყვეტა, რის თაობაზეც მსჯელობა სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

5.6 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №096/18 ადვოკატ გ. ფ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/